ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ანგარიში
2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ

კულტურის სფეროს განვითარება, ადგილობრივი ტრადიციების დაცვა და საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა ჩვენი საქმიანობის მთავარი პრიორიტეტებია. გასული წელი მნიშვნელოვანი იყო ღონისძიებების წარმატებით ჩატარების თვალსაზრისით. კულტურის ცენტრმა არაერთი კულტურული და შემოქმედებითი აქტივობა შესთავაზა საზოგადოებას, რამაც ხელი შეუწყო შემოქმედებითი გარემოს გაძლიერებას.

7 და 8 იანვარს, ხელოვნების სასახლეში, კულტურის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ყოველწლიური, ტრადიციული საშობაო კონცერტი. ღონისძიებაში მონაწილეობდა კულტურის ცენტრთან არსებული საბავშვო სტუდია „მომავლის ბავშვები“.

30 იანვარს ხელოვნების სასახლეში ტრადიციად ქცეული ღონისძიება – „წლის საუკეთესო თანამშრომელი 2024“ გაიმართა. მუნიციპალიტეტში მოქმედმა სხვადასხვა ორგანიზაციებმა გამოავლინეს და დააჯილდოვეს საუკეთესო თანამშრომლები, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს თავიანთი სფეროს განვითარებაში.

11 თებერვალს ხელოვნების სასახლეში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული, ანსამბლ „რეხეული“-ს შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

14 თებერვალს ჩოხატაურის კულტურის ცენტრთან არსებულმა საბავშვო სტუდია „მომავლის ბავშვებმა“ კონცერტი გამართეს ოზურგეთში.

8 აპრილს ხელოვნების სასახლეში ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა პატარა მაყურებელს დაუვიწყარი თავგადასავალი აჩუქა! წარმოდგენილი იყო სცენური ვერსია ყველასათვის საყვარელი ზღაპრიდან – „მგლისა და სამი გოჭის თავგადასავალი“. რეჟისორი: გია მარღანია.

10 აპრილს ხელოვნების სასახლეში, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი – „ლევილის დედა“. ემოციებით დატვირთულმა შესრულებამ მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

23 აპრილს არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრისა და გურიის ერისთავთა რეზიდენციის ინიციატივით და ორგანიზებით გაიმართა „პასკის ფესტივალი“, რომელშიც სხვადასხვა ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობა მიიღო

ჩოხატაურის კულტურის ცენტრმა. ფესტივალზე წარმოდგენილი პასკით კულტურის ცენტრი დაჯილდოვდა ნომინაციაში „საუკეთესო გემოს პასკის შექმნისთვის“.

26 მაისს ხელოვნების სასახლეში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში გამოვლინდნენ საპატიო ჩოხატაურელები.
28 მაისს კულტურის ცენტრთან არსებული თანამედროვე ცეკვების სტუდია „რჩეული” მონაწილეობას იღებდა ქ. სიღნაღში გამართულ ფესტივალში „მზიანი საქართველო”.
1 ივნისს ხელოვნების სასახლეში, კულტურის ცენტრის ორგანიზებით ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდა კულტურის ცენტრთან არსებული საბავშვო სტუდია „მომავლის ბავშვები”. სტუდიის ხელმძღვანელი: ნანა ჩხიკვაძე.

2 ივნისს თანამედროვე ცეკვების სტუდია „რჩეული“ მონაწილეობდა ქ. ბათუმში გამართულ ქართული ცეკვის ფესტივალზე „ხორუმი“, სტუდიის ხელმძღვანელი: გვანცა ანდღულაძე.

5 ივნისს ძველ თბილისში, გორგასლის მოედანზე, „ქართული ღვინისა და კუთხეების ფესტივალი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკ ბენდი „ნართი”.

7 ივნისს კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლი „კრიმანჭული“ მონაწილეობდა ახალგაზრდულ ფოლკლორულ ბანაკ-ფესტივალში, რომლის ორგანიზატორია ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი. ანსამბლის ხელმძღვანელი: ლალი კორიფაძე.

13 ივნისს ხელოვნების სასახლეში, კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლის – „თაობა“ – კონცერტი გაიმართა.

17 ივნისს ხელოვნების სასახლეში ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კვარტეტ “ნოტას” კონცერტი გაიმართა.

29 ივნისს კულტურის ცენტრთან არსებული თანამედროვე ცეკვების სტუდია „რჩეული“ მონაწილეობდა ფესტივალში – „მზიანი საქართველო“. ხელოვნების დარგში მიღწეული წარმატებისთვის სტუდიას მიენიჭა საპატიო წოდება – „სამეფო ფერხული“ სტუდიის ხელმძღვანელი, გვანცა ანდღულაძე, დაჯილდოვდა ეროვნულ-კულტურული ტრადიციების დამკვიდრებისა და ზნეობრივ-ესთეტიკური ინტერესების განვითარებისათვის.

30 ივნისს ხელოვნების სასახლეში, კულტურის ცენტრთან არსებულმა ქართული ტრადიციული მუსიკის სკოლამ და ბიჭუნათა მგალობელ-მომღერალთა გუნდმა

„კრიმანჭული“ წარმოადგინეს უნიკალური მუსიკალური დადგმა — „ქართული ტრადიციული სუფრა“. დადგმა აერთიანებდა ქართული სუფრის ტრადიციისა და ხალხური მუსიკის შესანიშნავ სინთეზს.

7 ივლისს ნოდარ დუმბაძის V საერთაშორისო ფესტივალს ხელოვნების სასახლემ უმასპინძლა. დმანისის ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ვაჟა-ფშაველას პოემის მიხედვით დადგმული სპექტაკლი — „სტუმარ-მასპინძელი“ წარმოადგინა. დამდგმელი რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე; რეჟისორი: თინათინ კორძაია.

8 ივლისს, ნოდარ დუმბაძის V საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში გაიმართა კიდევ ერთი გამორჩეული თეატრალური საღამო. საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება – ბორჯომის თოჯინების პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა წარადგინა ნოდარ დუმბაძის მოთხრობის მიხედვით დადგმული სპექტაკლი — „გურული ბაბუ და პატარა უჩა“. დამდგმელი რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი.
9 ივლისს აკაკი წერეთლის იუბილეს აღსანიშნავად გაიმართა კონკურს-ფესტივალი „აქ დაიბადა სულიკო“ , რომელმაც გააერთიანა პოეზია , მუსიკა და ფოლკლორი. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის შემოქმედებითმა კოლექტივებმა , მათ შორის — ჩოხატაურის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლებმაც . საუკეთესო გუნდის წოდება მიენიჭა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურის ცენტრთან არსებულ ვაჟთა მომღერალ-მგალობელთა გუნდს „ამაღლება“ , რომლებმაც შესანიშნავი შესრულებით განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინეს მაყურებელზე. კულტურულ მრავალფეროვნებაში თავისი წვლილი შეიტანა გუნდმა „ნენანა“ , რომელმაც ფესტივალში წარმატებული მონაწილეობისათვის სპეციალური დიპლომი დაიმსახურა.

9 ივლისს, ნოდარ დუმბაძის V საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში, კიდევ ერთი გამორჩეული თეატრალური გამოცდილება ვიხილეთ ხელოვნების სასახლეში! მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა წარმოადგინა სპექტაკლი — „ბეთქილი“, რომელიც ეკა მარგიანის პიესის მიხედვით დაიდგა. დამდგმელი რეჟისორი: კახა ბაკურაძე.

10 ივლისს, ნოდარ დუმბაძის V საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში, უზბეკეთის ბერდახის სახელობის ყარაყალპაყეთის სახელმწიფო აკადემიურმა მუსიკალურმა თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რომელიც ნოდარ დუმბაძის უკვდავი ნაწარმოების მიხედვით დაიდგა. დამდგმელი რეჟისორი: მუხტარ რეიმოვი.

11 ივლისს კულტურის ცენტრთან არსებული თანამედროვე ცეკვის სტუდია „რჩეული“ მონაწილეობდა ურეკში გამართულ საერთაშორისო ფოლკლორულ კონკურს-ფესტივალზე

„ჩვენ მშვიდობა“! სცენაზე შესრულდა ცეკვა ხორუმი, რომელმაც მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა და დაჯილდოვდა საპატიო დიპლომით.

კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ილეკრო“ წარმატებით მონაწილეობდა ორ ფესტივალში. ბათუმში, ფესტივალზე „ოქროს ზაფხული“, ანსამბლი დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით – „აბსოლუტური ჩემპიონი“. გიორგი სალუქვაძის სახელობის ფესტივალზე „ჩვენ მშვიდობა“, მოცეკვავეებს მიენიჭათ ლაურეატის წოდება.

24 ივლისს ჩოხატაურმა უმასპინძლა კომპოზიტორისა და ავტორ-შემსრულებლის, ზვიად ბოლქვაძის საავტორო კონცერტს-საღამოს, რომელიც გულწრფელობით, სითბოთი და დაუვიწყარი მუსიკალური ემოციებით დაამახსოვრდება თითოეულ მსმენელს.

19 აგვისტოს ბახმაროში ფერიცვალების დღესასწაულისადმი მიძღვნილი ტრადიციული - სახალხო სადღესასწაულო ღონისძიებები, ტრადიციული დოღი და ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა გაიმართა. საღამო ჯგუფი „ურსას“ კონცერტით დასრულდა.

22 აგვისტოს ხელოვნების სასახლეში გაიმართა ახლად ჩამოყალიბებული ბენდის – „თავისუფალი მეამბოხეები“ სადებიუტო კონცერტი. ბენდის ხელმძღვანელი: გიორგი გოგოლაძე.

25 აგვისტოს, ხელოვნების სასახლეში, ნამდვილი მუსიკალური დღესასწაული გაიმართა. ხუთი ანსამბლის გაერთიანებამ – „ფორტე“, „ქართული ხმები“, „შვიდკაცა“, „ალილო“ და „თეატრალურის კვარტეტი“ – ანშლაგით გამართულ საღამოზე მაყურებელს დაუვიწყარი ემოციები აჩუქა.

21 სექტემბერს ხელოვნების სასახლეში ჩოხატაურის ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ, თამარ მახარაშვილმა ღვაწლმოსილ პედაგოგებს მადლობის სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

30 სექტემბერს კულტურის ცენტრთან არსებული ქალთა მგალობელ-მომღერალთა გუნდი „ნენანა“ მონაწილეობდა ტრადიციულ სიმღერისა და გალობის ფესტივალში, რომელიც კასპში, სოფელ მეფისქალაქის ისტორიულ გალავანში გაიმართა. „ნენანამ” ღონისძიებაზე შეასრულა ქართული საეკლესიო საგალობლები და ხალხური სიმღერები.

27 ნოემბერს ჩოხატაურის კულტურის ცენტრთან არსებული თანამედროვე ცეკვების სტუდია „რჩეული“ მონაწილეობდა თბილისში, არტ–ჰოლში გამართულ ხელოვნების ფესტივალში- „გიორგობა 25“. ანსამბლს ფესტივალზე წარმატებული მონაწილეობისთვის გადაეცა დიპლომი და მიიღო მოწვევა საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც გაიმართება თურქეთში, ქალაქ ქემერში. ხელმძღვანელი: გვანცა ანდღულაძე.

31 დეკემბერს საახალწლო საღამო დაიწყო კულტურის ცენტრთან არსებული საბავშვო სტუდიის გამოსვლით. ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდნენ სამუსიკო სკოლის ნიჭიერი მოსწავლეები და გასართობი ცენტრი „დანდუ ლენდის“ ანიმატორები. საღამოს დასკვნითი ნაწილი ოთო ნემსაძემ და ბენდმა “LIMBO” დახურეს.